ხელშეკრულება №89სბ
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(გამარტივებული შესყიდვა)
(CPV-18333000;18211000;35821000)

ერთი მხრივ, **სსიპ - საქართველოს ეროვნული არქივი** (ს/კ - 211358957), შემდგომში წოდებული „შემსყიდველად", წარმოდგენილი გენერალური დირექტორის **თეონა იაშვილის** სახით და მეორე მხრივ, **შპს „კონტური"** (ს/კ - 202241751), შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად", წარმოდგენილი მისი დირექტორის **ელინა კოსირატის** სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები", ვმოქმედებთ, რა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების მე-2 მუხლის „ა" პუნქტის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები
ხელშკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1„ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - „ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებულ ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები;
1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
1.3 „დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარულ დღე, კვირა, თვე;
1.4 „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
1.5 „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში;
1.6 „საქონელი"-_ ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;
1.7 „ინსპექტირება" – ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი და ზედამხედველობა.

2. ხელშეკრულების საგანი
2022 წლის 26 მაისს დაგეგმილი ღონისძიების ფარგლებში ბრენდირებული საქონლის სახელმწიფო შესყიდვა
დანართი №1-ის შესაბამისად
(CPV-18333000;18211000;35821000)

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს - **265.00 (ორას სამოცდახუთი) ლარს, დღგ-ს გათვალისწინებით.**
3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც საქონლის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.
3.3 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა ამ შემთხვევებშიც ფასის ცვლილება დასაშვებია არაუმეტეს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ისა.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) უზრუნველყოს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი, 2022 წლის 26 მაისს დაგეგმილი ღონისძიების ფარგლებში საჭირო სხვადასხვა ბრენდირებული საქონლის მიწოდება ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული №1 დანართის შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და განიხილება მასთან ერთად.
ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე, დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება;
გ) ხელი შეუწყოს შემსყიდველს ინსპექტირების განხორციელებისას;
დ) უზრუნველყოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების განხორციელება.
4.2 შემსყიდველი ვალდებულია:
ა) უზრუნველყოს ბრენდირებისათვის საჭირო ელ.საბეჭდი ფაილების მიწოდება მიმწოდებლის ელ. მისამართზე: mail@contour.ge ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღიდან დაუონებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 2022 წლის 19 მაისისა.
ა) უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;
ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. მიწოდებული საქონლის ხარისხი

მიწოდებული საქონლის ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს წინამდებარე ხელშკრულების 4.1 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დანართ №1-ში აღნიშნულ მაჩვენებლებს.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება პერიოდულად, როგორც საქონლის მიწოდების დროს, ისე ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად;
6.2 ინსპექტირებას განახორციელებს **სსიპ-საქართველოს ეროვნული არქივის სამეურნეო საზოგადოებასა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი ან იმ დროისთვის მისი მოვალეობის შემსრულებელი.**
6.3 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენლის (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) მიერ წუნის გამოვლენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის წერილობითი შეტყობინებიდან დადგენილ გონივრულ ვადაში გამოასწოროს წუნი ან, თუ წუნის გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს საქონლის ღირებულება დაუბრუნოს შემსყიდველს წუნდებული საქონლის ღირებულება.

7. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

7.1 საქონლის მიღება იწარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელისმოწერით, ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის შესაბამისად, წინამდებარე ხელშეკრულების 6.2 პუნქტით განსაზღვრული ინსპექტირების განმახორციელებელი პირის დადებითი ინსპექტირების დასკვნის საფუძველზე.

7.2 აღნიშნული დოკუმენტაციის ხელმოწერამდე ყველა ქონებრივი უფლება საქონელზე ეკუთვნის მიმწოდებელს, რომელიც პასუხისმგებელია საქონლის შემთხვევით (მთლიანად ან ნაწილობრივ) დაღუპვაზე, განადგურებასა და რაიმე სახის ზიანზე. ხელმოწერის მომენტიდან აღნიშნული უფლებები და რისკები გადადის შემსყიდველზე.

8. ანგარიშსწორება

8.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად;

გ)დაფინანსების წყარო - **2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ასიგნებები;**

8.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის ღირებულება, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და შემსყიდველის მიერ, საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო ანგარიშფაქტურის დადასტურებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში;

8.3 შემსყიდველი უფლებამოსილია, ხოლო მიმწოდებელი თანახმაა ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოს თანხა (ასეთის არსებობის შემთხვევაში), გამოქვითოს ყოველი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, მიმწოდებელზე გადასარიცხი თანხიდან და გადარიცხოს მიმწოდებლის სახელით სახელმწიფო ხაზინის შესაბამის სახაზინო კოდზე.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით;

9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანართი №1-ით განსაზღვრული საქონლის მიწოდების ვადების ან/და პირობების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო შესაბამისად ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების **0.02%**-ის ოდენობით;

10.2 წინამდებარე ხელშეკრულების **6.3** ქვეპუნქტით განსაზღვრული ვადების გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო შესაბამისად ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების **0.02%**-ის ოდენობით;

10.3 წინამდებარე ხელშეკრულების 8.2 პუქტით განსაზღვრული ვადის დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია შემსყიდველს დააკისროს პირგასამტეხლო შესაბამისად ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

10.4 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1(ერთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება;

10.5 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით;

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12. დავების გადაწყვეტა

12.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკებების გზით.

12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია, მიმართოს ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს დადგენილი წესის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

13.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს 2022 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით.

15. ფორს-მაჟორი

15.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

15.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, **სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ასიგნებების** მკვეთრი შემცირებით.

15.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

16. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე და ხელმოწერილია „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების მოთხოვნის შესაბამისად.

17. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
სსიპ - საქართველოს ეროვნული არქივი **მისამართი:** ქ. თბილისი, ვაჟა- ფშაველას გამზ. №1 **ტელეფონი:** 238-14-25 **საბანკო რეკვიზიტები**: **ბანკის კოდი** TRESGE22, **სახელმწიფო ხაზინა** **ანგ.№** GE24NB0330100200165022 **ს/კ** - 211358957	**შპს „ კონტური"** **მისამართი:** ქ. თბილისი, კარგარეთელის ქ.№8; **ტელ: +995 32 294 04 99; E-mail:** mail@contour.ge; **საბანკო რეკვიზიტები:** სს „საქართველოს ბანკი" **ბანკის კოდი:** BAGAGE22 **ანგარიშის ნომერი:** GE53BG0000000533884849; **ს/კ** - 202241751

დანართი №1

	შესყიდვის ობიექტის დასახელება და ტექნიკური მახასიათებლები	**შესყიდვის ობიექტის რაოდენობა და განზომილების ერთეული**	**ინფორმაცია შესყიდვის ობიექტის მწარმოებელი ქვეყნის, კომპანიისა და ბრენდის შესახებ**	**შესყიდვის ობიექტის ერთ. ფასი დღგ–ს ჩათვლით**	**შესყიდვის ობიექტის მთ. ფასი დღგ–ს ჩათვლით**	**CPV**	**შესყიდვის ობიექტის მოწოდების ვადა და პირობები**
1	**მაისური (პოლო) ბრენდირებული** **ფერი:** თეთრი; **ზომა:**M-2 ცალი, XL-1 ცალი; ბრენდირება წინა და უკანა მხრიდან შემსყიდველის მიერ მიწოდებული საბეჭდი ელ. ფაილის შესაბამისად	3 ცალი	**მწ.ქვეყანა:** ჩინეთი **კომპანია:** JEL	40.00	120.00	18333000	**მიწოდების ვადა:** არაუგვიანეს 2022 წლის 23 მაისის 18:00 საათი **მიწოდების ადგილი:** ქ. თბილისი, კარგარეთელის ქ. №8;
2	**კეპი ბრენდირებული** **ფერი:** თეთრი, ბრენდირება წინა მხრიდან შემსყიდველის მიერ მიწოდებული საბეჭდი ელ. ფაილის შესაბამისად	3 ცალი	**მწ.ქვეყანა:** ჩინეთი **კომპანია:** **JEL**	15.00	45.00	18211000	
3	**ქაღალდის დროშა ბრენდირებული** **ზომა:** 15*22 სმ; **მასალა:** 200 გრამიანი ცარცის ქაღალდი, გლუვი; ორმხრივი ფერადი ბეჭდვა 4/4 ორივე მხარეს საქართველოს დროშა-25 ცალი, ორივე მხარეს - ევროკავშირის დროშა-25 ცალი; დროშები დამაგრებული უნდა იყოს პლასტმასის ტარზე დამაგრებული	50 ცალი	**მწ.ქვეყანა:** საქართველო **კომპანია:** შპს „ კონტური“	2.00	100.00	35821000	

სულ ღირებულება დღგ-ს ჩათვლით: - 265.00 (ორასს სამოცდახუთი) ლარი.

შემსყიდველი

სსიპ - საქართველოს ეროვნული არქივი
მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა- ფშაველას გამზ. №1
ტელეფონი: 238-14-25
საბანკო რეკვიზიტები:
ბანკის კოდი TRESGE22,
სახელმწიფო ხაზინა
ანგ.№ GE24NB0330100200165022
ს/კ - 211358957

მიმწოდებელი

შპს „ კონტური“
მისამართი: ქ. თბილისი, კარგარეთელის ქ.№8;
ტელ: +995 32 294 04 99; 577 74 04 99;
E-mail: mail@contour.ge;
საბანკო რეკვიზიტები: სს „საქართველოს ბანკი“
ბანკის კოდი: BAGAGE22
ანგარიშის ნომერი: GE53BG0000000533884849;
ს/კ - 202241751